საერთაშორისო ურთიერთობები

2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

ალექსანდრე რონდელი
საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

3. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი: მაღალი კლასის მეცნიერ-მკვლევრების, უმაღლესი სკოლის კვალიფიციური პედაგოგებისა და ღრმა თეორიული ცოდნით Aაღჭურვილი პრაქტიკოსი სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა სფეროში.

სადოქტორო პროგრამა მოწოდებულია დოქტორანტებში განავითაროს და სრულყოს დამოუკიდებელი კვლევის, ანალიზისა და მსჯელობის უნარი, მისცეს მათ შესაძლებლობა სრულად წარმოაჩინონ თავიანთი უნარი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში, საერთაშორისო კონფერენციებში და თავიანთი კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ პროფესიულ სამეცნიერო ჟურნალებში ან მონოგრაფიების სახით.

კონკრეტული ამოცანები, რომელსაც პროგრამა ისახავს მიზნად მდგომარეობს იმაში, რომ დოქტორანტმა შეძლოს:

- შეარჩიოს აქტუალური პრობლემა. დასვას კითხვა და ჩამოაყალიბოს კვლევის ჰიპოთეზა;
- მოიძიოს და კრიტიკულად გააანალიზოს წყაროები და ლიტერატურა;
- შეიმუშაოს კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგია და სწორად განსაზღვროს ნაშრომის სტრუქტურა;
- კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების საფუძველზე ჩამოაყალიბოს ძირითადი დასკვნები;
- წარმოადგინოს კვლევის შედეგები.

პროგრამის შედეგი: სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი წარმოადგენს დასრულებულ, კვალიფიციურ მეცნიერსა და პედაგოგს, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს ღრმა სამეცნიერო კვლევა, შეადგინოს სასწავლო კურსის პროგრამა და წარუძღვეს სასწავლო პროცესს. ამის გარდა სხვადასხვა ტიპის საგარეო პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ საფინანსო-ეკონომიკურ დაწესებულებაში იყოს მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტი. მისი ინტერესები შეიძლება ეხებოდეს საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის თეორიას და ისტორიას, საერთაშორისო ეკონომიკას, საერთაშორისო სამართალს, ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას, ნაციონალიზმს, გლობალიზაციას, პოლიტიკურ კონფლიქტებს, პატარა ქვეყნის პრობლემებს, ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას და სხვ.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: ფილოსოფიის დოქტორს საერთაშორისო ურთიერთობებში აქვს ფართო ასპარეზი დასაქმებისთვის: კერძოდ, იგი შეიძლება მოღვაწეობდეს უმაღლეს სასწავლებელში, სამეცნიერო ინსტიტუტებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, დიპლომატიურ სამსახურში, თავდაცვისა და უშიშროების სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრებო სექტორში და ა.შ.

4. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (სფერო შეზღუდული არ არის, მაგრამ სასურველია ხარისხი იყოს საერთაშორისო ურთიერთობებში, აგრეთვე პოლიტიკურ მეცნიერებაში, ეკონომიკაში, სამართალში, სოციოლოგიაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში)